



გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯი

დამტკიცებულია:

სსიპ -ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის

სამუსიკო საზოგადოებრივი კოლეჯის პედაგოგიური საბჭოს

15.09.2014წ. სხდომის N1 ოქმით

ცვლილება შესულია

კოლეჯის დირექტორის ბრძანება N1/16

28.06.2019წ.

სსიპ-ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. აღნიშნული დებულება არეგულირებს პროფესიულ სტუდენტთა პროფესიული პრაქტიკის გავლასთან დაკავშირებულ საკითხებს.
2. სტუდენტთა პროფესიული პრაქტიკა, საგანმანათლებლო პროგრამის განუყოფელი ნაწილია, განისაზღვრება და მტკიცდება მასთან ერთად.
3. სასწავლო გეგმიდან გამომდინარე, პროფესიული პრაქტიკის ხანგრძლივობა განისაზღვრება შესაბამისი მოდულით. კოლეჯს პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული აქვს მემორანდუმები ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.
4. პროფესიული სტუდენტის საშემსრულებლო პრაქტიკა მოიცავს კრედიტებში გამოხატულ, სტუდენტის მიერ შესრულებულ შემოქმედებით სამუშაოს (სოლო კონცერტი, გასვლითი კონცერტი, ფესტივალები, კონკურსები, მასტერკლასები და ა.შ); საშემსრულებლო პრაქტიკაში შესასრულებელი კრედიტების რაოდენობა მითითებულია სასწავლო გეგმებში სპეციალობების სპეციფიკის გათვალისწინებით;
5. სტუდენტი ვალდებულია საშემსრულებლო პრაქტიკაში ჩატარებული სამუშაოს შესახებ დროულად აცნობოს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს (ცნობების, აფიშების და პროგრამების სახით).
6. როგორც გამონაკლისი, სტუდენტს შეუძლია დამოუკიდებლად მოიძიოს პრაქტიკის გავლის ადგილი და წინასწარ აცნობოს ამის შესახებ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს

მუხლი 2. პრაქტიკის მიზნები და ამოცანები

1. პროფესიული პრაქტიკის მიზანს წარმოადგენს:

- ა) მისცეს შესაძლებლობა სტუდენტს რეალურ ცხოვრებაში გამოსცადოს სასწავლო გარემოში შეძენილი კომპეტენციები (ცოდნა და უნარები) კიდევ უფრო დახვეწოს და განავითაროს ისინი;

ბ) დაახლოვოს სტუდენტი თავისი სპეციალობის რეალურ გარემოსთან,

გ) სტუდენტს დაანახოს კავშირები სასწავლო გარემოსა და პრაქტიკას შორის. თეორიული კომპონენტისა რეალურ სამყაროსთან/პრაქტიკასთან;

დ) სტუდენტმა შეძლოს სასწავლო პროცესში განვითარებული კომპეტენციების პრაქტიკაში გამოყენება, ახალი კომპეტენციებისა და სპეციფიკური უნარ-ჩვევების გამომუშავება;

ე) ხელი შეუწყოს სტუდენტებისა და დამსაქმებელთა დაკავშირებას, პრაქტიკანტთა შემდგომში შრომითი მოწყობის ხელშეწყობის მიზნით.

2. პრაქტიკის ამოცანები განისაზღვრება საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელების მიერ შემუშავებული და კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ დამტკიცებული პროგრამით, სტუდენტის პრაქტიკის ინდივიდუალური პროგრამის გათვალისწინებით.

4. პრაქტიკის ხელმძღვანელი ახორციელებს პრაქტიკის პროცესის მონიტორინგსა და შეფასებას.

მუხლი 3. პრაქტიკის ეტაპები

1. პრაქტიკის პროცესი ითვალისწინებს შემდეგ ეტაპებს:

ა) მოსამზადებელი შეხვედრა;

ბ) სტუდენტის მიერ პრაქტიკის ხელმძღვანელის მეთვალყურეობით მისი სოლო რეპერტუარის, საანსამბლო პარტიის შესწავლა ან ჩასატარებელი შემოქმედებითი ღონისძიების გეგმის შედგენა;

გ) პრაქტიკის ადგილის გაცნობა;

დ) სამუშაო პროცესში ჩართვა და ყოველდღიური ჩანაწერების - დღიურის წარმოება

ე) სტუდენტის კონსულტირება პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ;

ვ) პრაქტიკის შუალედური მიმოხილვა/შეფასება პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ;

ზ) პრაქტიკის ანგარიშის მომზადება;

თ) პრაქტიკის საბოლოო შეფასება.

მუხლი 4. კოლეჯში განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესი

1. კოლეჯი ვალდებულია სასწავლო პრაქტიკის განხორციელების პროცესში უზრუნველყოს სტუდენტი უსაფრთხო სასწავლო გარემოთი, ბუნებრივი და ხელოვნური ვენტილაციის, გათბობის გამართული სისტემებით, უწყვეტი ელექტრომომარაგებითა და ინტერნეტით, კომპიუტერული ტექნიკითა და მუსიკალური ინსტრუმენტებით.

2. სტუდენტი ვალდებულია კოლეჯში პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისას გაუფრთხილდეს კოლეჯის მატერიალურ რესურსს, მუსიკალურ ინსტრუმენტებს

3. კოლეჯში სასწავლო პროცესის უსაფრთხოდ წარმართვაზე კონტროლს ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირთან ერთად.